დანართ #1
სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის
2023 წლის 04 აპრილის #02-03/13 ბრძანების დანართი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“
მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურის
შრომის უსაფრთხების განყოფილების დებულება

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

1.1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო (შემდგომში - მაუწყებელი) მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურის (შემდგომში - სამსახური) - ქვე-სტრუქტურული ერთეულის შრომის უსაფრთხოების განყოფილების (შემდგომში - განყოფილება) სტრუქტურას, ფუნქციებსადასაქმიანობისწესს.

1.2. განყოფილება საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს შრომის კოდექსის და სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დაცვით.

1.3. განყოფილება კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია მაუწყებლის დირექტორის, დირექტორის მოადგილის ტექნიკის განვითარების დარგში და სამსახურის უფროსის წინაშე.

თავი II

განყოფილების ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

მუხლი 2.

2.1. განყოფილების ამოცნები

განყოფილების ძირითადი ამოცანაა მაუწყებელში სახანძრო და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

2.2. განყოფილების ფუნქციები

1. შრომის უსაფრთხოების სისტემის შემუშავება, მაუწყებელში დანერგვა და შესრულების კონტროლი;

2. შრომისა და სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

3. მაუწყებელში შრომის უსაფრთხოებისა და შესაბამისი წესებისა დანერგვასთან დაკავშირებით წინადადებების ინიცირება და მაუწყებლის დირექტორისთვის წარდგენა;

4. შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე მუდმივი ინფორმირებულობა და მაუწყებლის დირექტორის დროული ინფორმირება;

5. საშიშროებების განსაზღვრა და შრომის უსაფრთხოების რისკების შეფასება მაუწყებლის საქმიანობის უსაფრთხოდ განხორციელების მიზნით;

6. შრომის უსაფრთხოების ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების რეგულარულად ჩატარება და პერსონალის ცოდნის შემოწმება, ამ მიზნით ტესტირების, სიმულაციების და სხვასახის შემოწმებების წარმოება. აუცილებლობის შემთხვევაში გარე ტრენინგების საჭიროების ინიცირება;

7. საფრთხეების პრევენციისა და რისკების შემცირების ღონისძიებების განხორციელება;

8. მაუწყებლის თანამშრომლებისთვის კონსულტაციის გაწევა შრომის უსაფრთხოების საკითხებზე;

9. საწარმოო ტრამვის მიღების/უბედური შემთხვევების მოხდენის/ პროფესიული დაავადებების დადგენის შემთხვევაში, შესაბამის საზედამხედველო ორგანოებთან დაუყონებლივი შეტყობინება, მოკვლება, აღირცხვა და ანგარიშგების წარმოება.

10. საწარმოო შემთხვევის შედეგების დროული ლოკალიზაცია და ლიკვიდაცია, პირველადი დახმარების გაწევისა და ევაკუაციისთვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

თავი III

განყოფილების სტრუქტურა, ხელმძღვანელობა და თანამშრომლები

მუხლი 3.

3.1. განყოფილება შედგება განყოფილების უფროსის და შრომის უსაფრთხოების თანამშრომელ/ებ/ისგან;

3.2 განყოფილების თანამშრომლების შრომითი ურთიერთობები განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით.

3.3. განყოფილების უფროსი:

ა) კოორდინაციას უწევს და წარმართავს განყოფილების საქმიანობას, პასუხისმგებელია განყოფილების მუშაობის ეფექტურობაზე და წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული შრომის უსაფრთოების განყოფილების ფუნქციების განხორციელებაზე.

ბ) განყოფილების უფროსი (უფროსის მოვალეობის შემსრულებელი) პასუხისმგებელია სამსახურში დასაქმებული პირების მიერ ამ დებულებით გათვალისწინებული ფუნქციების ჯეროვნად შესრულებაზე;

გ) უზრუნველყოფს განყოფილების შეთანხმებულ და კოორდინირებულ მუშაობას;

დ) პერიოდულად ატარებს სამუშაო თათბირებს, რათა დროულად იქნეს გამოვლენილი განყოფილებაში არსებული შესაძლო ხარვეზები;

ე) შუამდგომლობს იმ რესურსების (სახსრების, მოწყობილობის, მასალის და ინვენტარის) გამოყოფაზე, რაც აუცილებელია განყოფილების ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საფრთხის შემცველი ფაქტორების/რისკების აღმოფხვრასა და შემცირებას;

ზ) უზრუნველყოფს თანამშრომლების მიერ შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის მონიტორინგს, შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით მაუწყებლის თანამშრომლებისთვის მითითებებისა და რეკომენდაციების მიცემას;

თ) ახდენს შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევაზე რეაგირებას;

თ) ხელმძღვანელობს თანამშრომლების სწავლებებსა და ინსტრუქტაჟების პროცესს/უშუალოდ ახორციელებს პერსონალის სწავლებას შრომის უსაფრთხო მეთოდებზე, ინსტრუქციების ჩატარებას;

ი) დადგენილი წესით აწარმოებს სწავლებებისა და ინსტრუქტაჟების ჟურნალს.

კ) უზრუნველყოფს უბედური შემთხვევის/საწარმოო ტრავმის მიღების/ პროფესიული დაავადებების დადგენის შემთხვევაში, შესაბამისი საზედამხედველო ორგანოებისთვის დაუყონებლივ შეტყობინებას, მოკვლევას, აღირცხვასა და ანგარიშგების წარმოებას;

კ) ახორციელებს ამ დებულებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსა და დავალებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

3.4. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი

შრომის უსაფრთხოების სპეციალსტი ვალდებულია განახორციელოს და უზრუნველყოს:

ა) შრომის პირობების ინსპექტირება და შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სისტემის შემუშავება/დანერგვა/შესრულების კონტროლი;

ბ) მაუწყებელში დასაქმებული პირების კონსულტირება შრომის უსაფრთხოების საკითხებზე;

გ) შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით მაუწყებლის თანამშრომლებისთვის მითითებებისა და რეკომენდაციების მიცემა.

დ) შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევაზე რეაგირება; გასცეს მითითებები თანამშრომლებზე სამუშაო პროცესში უსაფრთხოების წესებისა და ნორმების გამოვლენილი დარღვევების გამოსწორებაზე.

ე) საფრთხისა და საფრთხის შემცველი ფაქტორებისა და რისკების იდენტიფიცირება და შესწავლა, აღმოფხვრის/შემცირებისათვის შესაბამისი წინადადებების წარმოდგენა;

ვ) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებით, მაუწყებლის შინაგანაწესით, შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული და სამსახურის და

განყოფილების ხელმძღვანელის მიერ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გაცემული ცალკეული დავალებები.

თავი IV. დასკვნითი დებულებები

მუხლი 4. განსაკუთრებული დებულებები

4.1. განყოფილებაში მიიღებიან შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მქონე პირები.

4.2. განყოფილების თანამშრომელი ვალდებულია გაიაროს შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული პროგრამა და მოიპოვოს შესაბამისი სერტიფიკატი.

4.3. განყოფილებაში კონკრეტულ პოზიციაზე ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, განყოფილება უფლებამოსილი არ არის უარი განაცხადოს ამ დებულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებაზე;

4.4. განყოფილების უფროსი სამსახურის უფროსს წარუდგენს ყოველ კვარტალურ ანგარიშსს, საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ (საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა);

4.5. განყოფილებაში დასაქმებულმა პირებმა თავიანთი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და სამსახურში არსებული სხვა ხარვეზების შესახებ წერილობითი ინფორმაცია უნდა მიაწოდონ განყოფილების/სამსახურის უფროსს, თუ ამ დებულებით ან/და შრომის შინაგანაწესით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

მუხლი 5. დასკვნითი დებულება

5.1. განყოფილების ყველა თანამშრომელი ვალდებულია შეასრულოს წინამდებარე დებულება;

5.2. განყოფილების დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მაუწყებლის დირექტორის ბრძანებით.